

სასამართლოს სერვისები

1. საქმეთა საძიებო პროგრამა

საქმეთა საძიებო პროგრამა განთავსებულია უზენაესი სასამართლოს ვებ.გვერდზე.

საძიებო პროგრამა შეიქმნა უზენაესი სასამართლოსა და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) თანამშრომლობით აღნიშნული პროგრამით თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები 2000 წლიდან დღემდე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გადაწყვეტილებათა მოძიების შემთხვევაში, პროგრამა მოგაწვდით მათ პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, განათლება, სამუშაო ადგილი, პროფესია და სხვ.) გარეშე, ანუ დამტრიხული სახით.

პროგრამა დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო მათ, ვინც უშუალოდ არიან დაინტერესებული კონკრეტული გადაწყვეტილებებით, არამედ მნიშვნელოვანი იქნება იმ იურისტებისთვისაც, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობით არიან დაკავებული.

2. არქივის ელექტრონული პროგრამა

2011 წლის ოქტომბერში უზენაეს სასამართლოში არქივის ელექტრონული პროგრამა ამოქმედდა. არქივში დაცულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 1965 - 2005 წლებში განხილული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები. აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები დასკანერებულია და გადატანილია ელექტრონულ ფორმატში.

საძიებო სისტემით სარგებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დარეგისტრირების შემდეგ შეუძლია. დასარეგისტრირებლად საჭიროა სახელის, გვარისა და პირადობის მოწმობის პირადი ნომრის, ასევე ელ. ფოსტის მითითება. სასამართლო გადაწყვეტილებების მოთხოვნის შემთხვევაში, პროგრამა მას დამტრიხული სახით - პერსონალური მონაცემების გარეშე – მიაწვდის.

პროგრამა მნიშვნელოვანია არა მარტო მათთვის, ვინც უშუალოდ არის დაინტერესებული კონკრეტული გადაწყვეტილებებით, არამედ - იურისტების იმ ნაწილისთვისაც, ვინც სამეცნიერო საქმიანობით არის დაკავებული.

3. მართლმსაჯულების მუზეუმი

უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს „მართლმსაჯულების მუზეუმი“. მუზეუმში ის ნივთები და ატრიბუტებია განთავსებული, რომელიც საქართველოში სამართლის განვითარებასთან ისტორიულადაა დაკავშირებული.

„მართლმსაჯულების მუზეუმი“ ორი დარბაზისგან შედგება: საექსპონატო დარბაზში გამოფენილია ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ასევე განთავსებულია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ისტორიისა და იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სამართლის განვითარებაში.

მუზეუმის მეორე ნაწილში პირვანდელი სახით შენარჩუნებულია ისტორიული „N1 დარბაზი“, სადაც იმართებოდა გახმაურებული პროცესები, მათ შორის ე.წ. „თვითმფრინავის გამტაცებელთა“, მხედრიონელთა და სხვათა საქმეები.

4. უზენაესი სასამართლოს იურიდიული ბიბლიოთეკა

უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მარჯვენა ფლიგელში. ბიბლიოთეკის პირველ სართულზე განთავსებულია საცავი, სადაც ინახება საარქივო მასალა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მკითხველს საშუალება აქვს ადგილზე გაეცნოს საჭირო ინფორმაციას საარქივო კლასიფიკატორის მეშვეობით.

უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკის მე-2 სართულზე ფუნქციონირებს ორი სამკითხველო დარბაზი უცხოური და ქართული ლიტერატურისათვის. ბიბლიოთეკა მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. დანერგილია წიგნადი ფონდის გამოყენების თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, მკითხველს საშუალება აქვს ბიბლიოთეკარის დაუხმარებლად წიგნადი ფონდიდან თვითონ მოიძიოს შესაბამისი ლიტერატურა.

იგი ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიონალი იურისტების, ასევე არაიურისტი მკითხველისათვის. მათ განკარგულებაშია უახლესი იურიდიული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს კომპიუტერული სამუშაო პროგრამის მიხედვით. ელექტრონული კატალოგი აადვილებს ინფორმაციის სწრაფ მიწოდებას.